საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის

დადგენილება №3

2023 წლის 13 ივლისი

ქ. თბილისი

"საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2003 წლის 27 ივნისის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია **ადგენს**:

მუხლი 1

„საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2003 წლის 27 ივნისის №1 დადგენილებაში (სსმ III, 14.07.2003წ., №71, მუხ. 643) შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

ა) დადგენილებას დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^3 პუნქტი:

„1^3. დამტკიცდეს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თანამშრომელთა პროფესიული და ეთიკური ქცევის წესები;“

ბ) დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების:

ბ.ა) პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) ექს-პარტე შეტყობინების მიღებისა და განხილვის შესახებ;

ბ.ბ) მე-3 მუხლი ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

კომისიის წევრი	**ივანე მახარაძე**
კომისიის წევრი	**ნათია კუკულაძე**
კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი	**ვახტანგ აბაშიძე**